საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 6451/01
26/06/2019

6451-01-2-201906261752

შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის"

მის: თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ.N72,
კოპრ. 10, სადარბაზო I, ბინა N2

თქვენს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე წლის 18 ივნისს წარმოდგენილ მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელის მიმდებარედ, ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ 2019 წლის 28 მარტს შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის"-თვის გაგზავნილ წერილში (N 3235/01) პროექტთან დაკავშირებით მოთხოვნილი ერთ-ერთი საკითხი კვლავაც დაუზუსტებელია და არ არის წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშში, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი (N 3235/01 წერილით მოთხოვნილი) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების თაობაზე.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში ასევე არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შპს ,,ოპტიკალ სისტემს ინკ''-ი მდ. ენგურის კალაპოტში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ფლობს ერთი ლიცენზიით განსაზღვრულ რამდენიმე უბანს, საიდანაც ხდება საწარმოს ნედლეულით მომარაგება. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოპინგის ანგარიშს თანდართულ SHP ფაილებში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების განსაზღვრული უბნების სრულყოფილი SHP ფაილები (SHP ფაილებში მოცემულია მხოლოდ ორი უბანი);
- სკოპინგის ანგარიშის 2.2.4 თავში არასახიფათო ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულია რომ საწარმოში, გამოყენებული წყლის გაწმენდის შედეგად სალექარში რჩება ინერტული ნარჩენი (დაბალი კონდიციის ქვიშა და ლამი), რომელიც დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება როგორც პროდუქცია სარეალიზაციოდ მასში სასარგებლო მინერალის

შემცველობის <u>არსებობის შემთხვევაში.</u> აღნიშნულთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო მინერალის შემცველობის არარსებობის შემთხვევაში, როგორ მოხდება სალექარში დარჩენილი ინერტული ნარჩენების მართვა;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად სანიაღვრე წყლები ჩაშვებული იქნება სპეციალურად სანიაღვრე წყლებისთვის მოწყობილ სალექარში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს სალექარის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს უშუალოდ მდინარის სიახლოვეს, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში კი გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ ინფორმაციაში არ არის განსაზღვრული ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან (სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული ზემოქმედება მცენარეულ საფარზე). აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი SHP ფაილების მიხედვით იდენტიფიცირებულ საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება მცენარეული საფარი **(იხ. დანართი - ფოტო მასალა),** შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებას საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება მცენარეულ საფარზე;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად უპირატესობა მიენიჭა ნულოვან ალტერნატივას, რადგან ტერიტორია განლაგებულია უშუალოდ სამუშაოების საწყის ეტაპზე ექსპლუატაციას დაქვემდებარებულ უბანზე, ამავე დროს სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია რომ ალტერნატივა 1-ის გამოყენება იგეგმება „იელის“ ქვიშრობის მე-2, მე-3 და მე-4 უბნების ექსპლუატაციის განხორციელებისას. შესაბამისად სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ საქმიანობის განხორციელების პროცესში იგეგმება ორივე შერჩეული ალტერნატივის გამოყენება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივების ანალიზი საჭიროებს დაზუსტებას და შერჩეულ ალტერნატიულ ტერიტორიაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენას;
- სკოპინგის ანგარიშით წარმოდგენილი და სატიტულო გვერდზე მითითებული საქმიანობის სახე არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ და სამინისტროს მიერ მიღებულ სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობას (სადაც აღნიშნულია: „მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელში შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც კომპანიის მიერ დაზუსტდება ყველა მითითებული საკითხი და სამინისტროში წარმოდგენილი იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული სრულყოფილი ინფორმაცია.

დანართი: ფოტო მასალა

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე